ცვლილებები ძალაშია 23.02.2023-დან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge **განთავსებულ „დამატებით სახელშეკრულებო პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილება-დამატებები:**

1. დამატებითი სახელშეკრულებო პირობების მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4[1]. ქვეპუნქტი;

4[1]. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, შეცვალოს ხელშეკრულების საპროცენტო განაკვეთი არაუმეტეს 2%-ით, თუ ბანკის თანხმობის გარეშე შეიცვალა მსესხებლის აქციონერი/დამფუძნებელი/საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე ან თუ კლიენტი ან მისი დამფუძნებელი ან ბენეფიციარი მესაკუთრე, ბანკთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ, გახდა პოლიტიკურად აქტიური პირი; წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის, „პოლიტიკურად აქტიური პირი“ ნიშნავს პირს, რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად უკავია სახელმწიფო (საჯარო) პოლიტიკური თანამდებობა ან/და რომელიც ეწევა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას; პირი პოლიტიკურად აქტიურ პირად ითვლება ზემოაღნიშნული თანამდებობის დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში.

2. **შეიცვალოს დამატებითი სახელშეკრულებო პირობების მე-9 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები და ჩამოყალიბდეს ქვემოთ მოცემული რედაქციით;**

5. საკონტროლო გავლენის არშეცვლა: მსესხებელმა იურიდიულმა პირმა არ უნდა დაუშვას, ბანკის თანხმობის გარეშე, აქციონერების/დამფუძნებლების/საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრის ნებისმიერი ცვლილება.
6. მსესხებელმა, იურიდიულმა პირმა გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს ბანკს, თუ კლიენტი ან მისი აქციონერი/დამფუძნებელი/საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი, ბანკთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ გახდება პოლიტიკურად აქტიური პირი; წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის, „პოლიტიკურად აქტიური პირი“ ნიშნავს პირს, რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად უკავია სახელმწიფო (საჯარო) პოლიტიკური თანამდებობა ან/და რომელიც ეწევა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას; პირი პოლიტიკურად აქტიურ პირად ითვლება ზემოაღნიშნული თანამდებობის დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში.

3. დამატებითი სახელშეკრულებო პირობების მე-14 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს 1.8.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს ქვემოთ მოცემული რედაქციით;

1.8.1 თუ კლიენტი ან მისი აქციონერი/დამფუძნებელი/საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე, ბანკთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ, გახდა პოლიტიკურად აქტიური პირი; წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის, „პოლიტიკურად აქტიური პირი“ ნიშნავს პირს, რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად უკავია სახელმწიფო (საჯარო) პოლიტიკური თანამდებობა ან/და რომელიც ეწევა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას; პირი პოლიტიკურად აქტიურ პირად ითვლება ზემოაღნიშნული თანამდებობის დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში.